

მოგონებები, დღიურები, ჩანაწერები

# I

## ნიკო ბურის დღიური

„ჩემი აფრიკული მოგზაურობის ფინალი“  
(1900 წ. ივნისი-ივლისი)

თბილისი 2016



საქართველოს  
ციფრული  
არქივი

ტექსტის რესული ვერსია გადმოწერა, ქართულად თარგმნა,  
რედაქტირება გაუკეთა და გამოსაცემად მოამზადა

თამარ გაბუნიამ

კორექტორი: მარიამ ჯანიგაშვილი


დიზაინერი: ზაზა ბერიშვილი

წიგნში გამოყენებული მასალა დაცულია საქართველოს  
ეროვნულ არქივში

© ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-0-9560-3 (ტომეულის)

ISBN 978-9941-0-9561-0 (პირველი ტომის)



[www.justice.gov.ge](http://www.justice.gov.ge)



[www.archives.gov.ge](http://www.archives.gov.ge)



საქართველოს  
ეროვნული  
ცენტრი

## შესავალი

ნიკო ბაგრატიონი, იგივე ნიკო ბური 1868 წელს დაიბადა ბაგრატიონ-მუხრანელთა სასახლეში, სოფელ მუხრანში. მუხრანელ ბაგრატიონთა შტოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი, წინაპართა მსგავსად, რუსეთის იმპერიაში სამხედრო სამსახურის გზას არ გაჰყოლია: 1884 წლიდან, მამის გარდაცვალების შემდეგ, ის სათავეში ჩაუდგა მუხრანის მამულების ნაწილს, აგრეთვე გახსნა არყის სახდელი და საკმაოდ შემოსავლიან მეწარმედაც იქცა.

საკუთარი ცხოვრების ერთ-ერთ გარდამტებ მომენტად ნიკო ბური მიიჩნევს 1896 წელს, როცა რუსეთის იმპერატორის - ალექსანდრე მესამის - კორონაციას დაესწრო, როგორც ბაგრატიონების დელეგაციის წევრი. ამ მომენტს იგი თავის ბიოგრაფიაში აღწერს, როგორც პირველ ნაბიჯს „საოცნებო უცნობი ქვეყნების“ ნახვისაკენ<sup>1</sup>. ღონისძიების დასრულების შემდეგ ნიკო ბური დელეგაციის სხვა წევრებს გამოეყო და მათთან ერთად საქართველოში აღარ დაბრუნებულა. მოსკოვში ყოფნისას იგი შეხვდა თავად ნიკოლოზ ორბელიანს, რომელიც, როგორც თვითონ აღწერს, „კარგ გუნებაზე იყო, რადგან კნეინა ელისაბედ დიმიტრი ორბელიანის ასულის, ბარიატინსკის მეუღლის ქონების ნახევარი მიიღო მემკვიდრეობით“<sup>2</sup>. სწორედ ორბელიანმა შესთავაზა ნიკო ბურს „ცხელ ქვეყნებში“ ლომებზე სანადიროდ წასვლა, რამაც განსაზღვრა კიდეც ამ უკანასკნელის ცხოვრების შემდგომი გზა.

ამ მცირე ვოიაჟის შემდეგ ნიკო ბური სამშობლოში დაბრუნდა და მამულის საქმეების მოწესრიგებას შეუდგა, თუმცა მოგზაურობით შეპყრობილი, ერთ ადგილას დიდხანს ვერ გაჩერდა და 1899 წელს უკან დაბრუნდა ნიკოლოზ ორბელიანთან მოსკოვში. რუსეთში ის რამდენიმე თვე დარჩა, რადგან ორბელიანის გადაუდებელი საქმეების გამო ვერ მოახერხეს აფრიკაში სანადიროდ წასვლა. ეს პერიოდი ნიკო ბურმა რუსეთის ქალაქების და მათი ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად გამოიყენა. ამასობაში ორბელიანიც გათავისუფლდა საქმეებისგან

1 ბაგრატიონი აფრიკაში, ნიკო ბაგრატიონი ბურებთან, მოგონებები (მე-3 გამოცემა), 1990, გვ. 69-70.

2 იქცა.



და ორივე გაემგზავრა პარიზში, 1900 წლის მსოფლიო უნივერსალურ ექსპოზიციაზე, რის შემდეგაც აპირებდნენ აფრიკაში, საფარიზე წასვლას. პარიზში ბაგრატიონმა და ორბელიანმა ოთხი თვე დაჰყვეს. როგორც ნიკო ბური წერს, კოლამ (ნიკოლოზ ორბელიანმა) საბოლოოდ გადაიფიქრა აფრიკაში წასვლა, მის გადარჩმუნებას ეცადა, თუმცა ვერ დაიყოლია და ნიკო მარტო გაემგზავრა სანაძიროდ.

ნიკო ბურის გამგზავრებას დაემთხვა 1899 წლის 11 ოქტომბერს ინგლისის მიერ სამხრეთ აფრიკის (ბურების) რესპუბლიკის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყება. ომის ისტორიებით გაჯერებული ატმოსფერო ნიკომ მარსელიდან ალექსანდრიაში მიმავალი გემის კაიუტებშივე იგრძნო. ზოგადად ამ ომზე ლაპარაკობდნენ, როგორც მჩაგვრელი იმპერიის მიერ თავისუფლების მოყვარული პატარა სახელმწიფოს განადგურების მცდელობაზე. ალექსანდრიაში ყოფნისას ნიკო ბურს რამდენიმე დღე იგივე ესმოდა, რის შემდეგაც საფარიზე წასვლის სურვილი ნელ-ნელა შეიცვალა ბურების მხარეზე ომში ჩაბმის სურვილად. „გამახსენდა საყვარელი საქართველო! მთელი ჩემი არსება მოიცვა ბურებისადმი თანაგრძნობამ და უყოფმანოდ გულში ღრმად ამოვიჭერი - დავხმარებოდი თავისუფლების მოყვარულ პატარა ხალხს, რომელსაც ინგლისი მოსპობას უპირებდა“<sup>3</sup>.

ნიკო ბური გაემგზავრა სამხრეთ აფრიკაში, შეხვდა ბურების სახელმწიფოს პრეზიდენტ პოლ კრიუგერს და ჩაერთო ანგლო-ბურების ომში პოლკოვნიკის რანგში. ომის მიწურულს მისი ბატალიონი გენერალ კრონის მეთაურობით ტყვედ ჩავარდა. თავდაპირველად მეომრებს, მათ შორის ნიკოსაც, სიკვდილი მიუსაჯეს, თუმცა სამეფო ოჯახის წევრობის გამო სასჯელი შეუცვალეს და წმინდა ელენეს კუნძულზე გადაასახლეს. წმინდა ელენეს კუნძულზე ნიკო ბური შეუდგა მემუარების, აგრეთვე მცირე დღიურის წერას. ამ დღიურიდან ცალკეული ამონარიდები შესულია მის მემუარებში, თუმცა დღიურში ამბები აღწერილია უფრო დაწვრილებით.

4 ნიკო ბური მოგვითხოვბს ყოფითი სირთულეებისა და განცდების შესახებ წმინდა ელენეს კუნძულზე: სრული

3 ბაგრატიონი აფრიკაში, ნიკო ბაგრატიონი ბურებთან, მოგონება (მე-3 გამოცემა), 1990, გვ. 69-70.



უსახსრობა, დარდები ქვეყანასა და ოჯახზე, გაქცევაზე მუდმივი ფიქრი, თავისუფლების დაუკვებელი სურვილი, დაწვრილებითი ანგარიშები, ადამიანები, რომლებთანაც მას კუნძულზე ურთიერთობა უწევდა. ყველა ეს საკითხი დაწვრილებით აქვს გაშლილი ამ ძალიან პატარა, თუმცა საინტერესო ცნობებით აღსავსე დღიურში.

ომის შემდეგ ნიკო ბური საქართველოში დაბრუნდა, მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დარჩა თბილისში და ოპოზიციაში ჩაუდგა ადგილობრივ ბოლშევიკებს. ნიკო ბური მათაც დაინდეს და არ დახვრიტეს, არც გადაასახლეს, თუმცა ყველანაირი ქონება ჩამოართვეს. გადმოცემით, ის ცხოვრების ბოლო წლებში თბილისის ბაზარში სიგარეტით ვაჭრობდა, უკვე გაცვეთილ სამეფო ტანსაცმელსა და ატრიბუტებში გამოწყობილი<sup>4</sup>.

ნიკო ბურის მემუარები „ბურებთან“ პირველად 1951 წელს გამოიცა. ეროვნულ არქივში, ამ ნაშრომის შავი ვარიანტების გარდა, დაცულია ნიკო ბურის პირადი ფონდი, რომელშიც მისი ცხოვრების და მოღვაწეობის ამსახველი მრავალი სხვა დოკუმენტი ინახება. დოკუმენტებს შორის ერთ-ერთია მცირე ფორმატის ბლოკნოტი, მისი ჩანაწერები წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებიდან. გარდა ამისა, არქივში ინახება 200-ზე მეტი საოჯახო ფოტო, მათ შორის ფართო საზოგადოებისთვის უცნობი რამდენიმე სურათი, რომელთაც თან ვურთავთ წიგნს.

წინამდებარე გამოცემაში მკითხველს ვთავაზობთ ამ დღიურის ქართულ თარგმანს და ორიგინალის ფოტოვერსიას. ვფიქრობთ, ქართველი საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება ამ კარგად ცნობილი ადამიანის კიდევ ერთი ხელნაწერის გამოქვეყნება.

ანტონ ვაჭარაძე

4 ნიკო ბურის ბიოგრაფიის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ: Apollon Davidson, Irina Filatova, The Russians and the Anglo-Boer War, „Human and Rousseau/Combined Book Services“, June, 1998.





საქართველო  
კლოვენი  
კლებული

**„რა ვიყავი და რა ვარ ახლა“**

ნიკო ბური  
ბაგრატიონ-მუხრანელი



საქართველოს  
კლასები  
კლება



საქართველო  
კლოვენი  
კლებული



მუხრანის სასახლე, ბაგრატიონ-  
მუხრანელების საგვარეულო  
რეზიდენცია

[XIX ს.]

**[2 ფ.]** ახალი<sup>1</sup> არაფერია, ქარბუქი გრძელდება. წერა მომინდა, არ ვიცი, რატომ. გულზე ნაღველი შემომაწვა. ჩემების ნახვა მომინდა, ძნელია მარტოობა უცხო ქვეყანაში, უცხო ხალხში, სადაც სამლოცველოებიც კი არაა და საშინელი მოწყენილობაა.

დღეს ფრანგებს რევოლუციასთან დაკავშირებული დიდი სახალხო დღესასწაული აქვთ. მისი აღნიშვნა ფრანგ ტყვევებსაც სურთ, თუ ამინდი ხელს შეუწყობთ. ღამის 11 საათია.

**[3 ფ.]**

## 21 ივნისი<sup>2</sup>

ქარმა ჩემი ქუდი ზღვაში წაიღო, დავდიოდი თავგაკრული.

## 23 ივნისი

ჩვენმა ზედამხედველმა პოლკოვნიკმა დამტვრეული ფრანგულით მკითხა: თქვენი ქუდი ქარმა წაიღო? მე ვუპასუხე: დიახ, ჩემო პოლკოვნიკო.

რამდენიმე წუთში ინგლისელმა იფიცერმა პოლკოვნიკის მიერ გამოგზავნილი ახალი ქუდი მომიტანა.

## 26 ივნისი

ფერადეანიანმა ტყვემ ინგლისელი ტყვეების მთვლელი გალახა. საკვირველია, რომ ყველა ბურმა მის წინააღმდეგ გაიღაშქრა [4 ფ.], მიუხედავად იმისა, რომ ის ტრანსვაალელად ითვლებოდა და ბურებთან ერთად ტყვედ იყო აყვანილი.

## 28 ივნისი

კაპიტანი ფრიგულიუსი, მე და კონტ. ბრედა ერთად ვსეირნობდით და წმ. ელენეს კუნძულის მიდამოებს ვათვალიერებდით. გავედით დილის 10 საათზე და დავბრუნდით საღამოს  $5 \frac{1}{2}$  საათზე.

1 ყდაზე მინაწერია: გრაფი სინკევიჩი პოლონელი.

2 მინაწერია: კაპიტანი – ფრიგულიუსი.



## 27 ივნისი

ჩამოიყვანეს ევროპელი ტყვეები, რომლებიც ინგლისელებმა ქ. მაფეკინგთან აიყვანეს.

## 5 ივლისი

საფრანგეთის კონსული მეწვია და მომიკითხა.

## 6 ივლისი

გენერალ რობერტსისგან მივიღე უარი. ის ვერ პოულობს ჩემთვის, როგორც ოფიცრისათვის, პაროლის მოცემის მოტივს.

## [5 ფ.] 9 ივლისი

ჩემი რაზმის ფრანგ ოფიცერს ბურებთან ჩხუბი მოუვიდა. იგი მიწაზე დააგდეს. ყველა ბური გამოვიდა ბურის დასახმარებლად, ამერიკელებმა კი ფრანგების მხარე დაიჭირეს. საბოლოოდ, გამარჯვება ევროპელებს დარჩათ.

9. ინგლისელმა ჯარისკაცებმა ერთმანეთში იჩხუბეს – შავები თეთრების წინააღმდეგ. მგონი მსხვერპლიცაა. ლამეა. ვერაფერს ვხედავ: ინგლისელების ბანაკში დიდი აურზაურია. დილით ალბათ შეგვატყობინებენ სიმართლეს.

[6 ფ.] 10. მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ ბევრი დაჭრილია: შავების მხრიდან – 7, ხოლო თეთრებისა – 25. სასჯელად შავებს სამრად უშვებენ აფრიკაში.

ბრედამ 2 შილინგი მასესხა, ერთი შილინგი პაპიროსის ქალალდ-ისთვის, ხოლო მეორით კი ჩვენთვის პაპიროსი შევიძინე.

ბრედა – 2 = 1 შილინგი

ბრედამ მასესხა – 2 ½ შილინგი

ვისესხე 1 ყუთი პაპიროსი, რომელიც 2 შილინგი ღირს. ოფიცერს ერთი ბარათი ვესესხე და სახლში გასაგზავნი წერილი დავწერე.

[7 ფ.] ანგარიში – 1 ივნისი

კარაქი – 1 შილინგი

შაქარი – ½ შილინგი

პიკული – 1 შილინგი

მურაბა – 1 ½ შილინგი



ნამცხვარი – 1 შილინგი

## 2 ივლისი

კაკაო – 2 შილინგი

მარკა –  $\frac{1}{2}$  შილინგი

ქალალდი – 1 შილინგი

სულ =  $8 \frac{1}{2}$  შილინგი

## 5 ივნისი

„პორეჩ“ – 2 შილინგი

ბრინჯი – 2 შილინგი

შაქარი –  $\frac{1}{2}$  შილინგი

მურაბა – 2 შილინგი

## 7 ივნისი

კარაქი –  $1 \frac{1}{2}$  შილინგი

შაქარი – 1 შილინგი

## 9 ივნისი

ნვერის გაპარსვა – 1 შილინგი

## 10 ივნისი

ლიმონათი –  $\frac{1}{2}$  შილინგი

## 13 ივნისი

[8 ფ] სავარცხელი – 1 შილინგი

ასანთი –  $\frac{1}{2}$  შილინგი

„ბონალი“ – 1 შილინგი

## 16 ივნისი

ქალალდი – 1 შილინგი

სანთლები – 1 შილინგი

## 21 (?)



„პორეჩ“ – 1 შილინგი  
მარკები – ½ შილინგი  
„ბონალი“ – ½ შილინგი  
სულ – 16 ½ შილინგი

### 23 ივნისი

„ლაიმჯუსი“ – 2 შილინგი  
შოკოლადი – ½ შილინგი  
შაქარი – 1 შილინგი

### 26 ივნისი

„პორეჩ“ – ½ შილინგი  
ბრინჯი – 1 შილინგი  
„ბონალი“ – ½ შილინგი

### 28 ივნისი

სიროფი – 2 შილინგი  
პიკული – 1 ½ შილინგი  
[...] – ½ შილინგი  
მარკები – ½ შილინგი

### 29 ივნისი

[9 ფ.] სანთლები – 1 შილინგი  
სიროფი – 2 შილინგი  
ლიმონათი – ½ შილინგი  
შაქარი – 2 შილინგი

### 30 ივნისი

მურაბა – 1 შილინგი  
ბანანი – 1 შილინგი  
ანტონმა მარკები მაჩუქა – 2 შილინგი  
სულ = 20 შ. 3 პ.



ყოველთვიური დანახარჯი  
პროდუქტზე 54 შ. 3 პ.

### 1 ივლისი

ლ. — 8 ½ შილინგი  
მარკები — 1 შილინგი

### 3 ივლისი

„პორეჩ“ — ½ შილინგი  
პაპიროსის ქაღალდი — 1 შილინგი

ფული დამიმთავრდა და ხარჯვაც აღარ შემიძლია, ამიტომ გადავწყვიტე ხარჯთალრიცხვა ვანარმოო. [10 ფ.] ჩანაწერებს 1900 წ. 1 ივნისიდან ვაკეთებ, ზუსტად რომ ვიცოდე, რამდენი მჭირდება თვეში ჩემი ხელმომჭირნე ცხოვრებისთვის. სულ 1 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით პროდუქტზე დავხარჯე 65 ½ შილინგი ან 3 ფუტი ოქრო და 6 ½ შილინგი.

ბაგრატიონ–მუხრანელი  
(ხელმოწერა)

### 13 ივლისი

საშინელი ქარბუქია, კარვიდან ვერ გავდივარ, ზღვაშ რამდენიმე კარავი წაიღო.

### 14 ივლისი

ქარბუქი გრძელდება. ვსხედვართ კარვებში, როგორც კრუხები კვერცხებზე. არაფერი გაგაჩნდეს საკუთარი და ხედავდე, როგორ იღებენ სხვები ახლობლებისგან მანუგეშებელ წერილებს, ფულს, ჩასაცმელს, მე კი ... [11 ფ.] არავისგან არაფერს, თითქოს არასდროს მყოლია არც ნაცხობები, არც მეგობრები, არც ნათე-სავები; აუტანელი სასჯელია. მეშინა, არ შევიძალო. დილის 4 საათია.

### 16 ივლისი

ამპობენ, ორმოცმა ბურმა დედოფალ ვიქტორიას თხოვნით მიმართა და გათავისუფლების სანაცვლოდ ერთგულებას დაპირდა. თუ ეს სიმართლეა, მათი მხრიდან ამაზრზენი



ქართველ თავადაზნაურთა დეპუტაცია იმპერატორ ალექსანდრე III-ის თბილისში  
ჩამოსვლის დროს (მარკვენი პირველი დგას ნიკო ბური ბაგრატიონ-მუხრანელი)

1888 წელი



საქართველოს

ციფრული

ცენტრი



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

Ազգային պատկերասրահ

საქციელია. რამდენიმე გაიძვერა ყველას დაღუპავს.

### [12 ფ.] ქარბუქი გრძელდება.

ვზივარ წმ. ელენეს კუნძულზე და ვფიქრობ ჩემი და მეტწილად ჩემი ოჯახის გამოუვალ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით კი – დედასა და დაზე. თუმცა ხანდახან, როცა ჩემი ძმა დათა მახსენდება, იმედის სხივი დაანათებს ხოლმე შავბნელ ფიქრებს – იქნებ არ მიატოვოს, თავისი ძლიერი მხრები შეაშველოს და სამშვიდობოს გაიყვანოს. მეორე ძმის – მიშას იმედი კი [13 ფ.] არასდროს მქონია; ან რა იმედი უნდა გქონდეს უხეირო ადამიანისა? ღმერთო, რატომ მარგუნე ასეთი მძიმე ხვედრი, ნუთუ ასეთი ცოდვილი ვარ?! უკვე ლამის ორი საათია, არ მეძინება. ვზივარ და ვწერ ჩემს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, ვისენებ ბედნიერ და უიღბლო წლებს... რა შემიძლია ვთქვა წარსულის უიღბლო წლებზე ახლანდელთან შედარებით? ვფიქრობ, რომ ბედნიერი ვყოფილვარ, რადგანაც არ ვიცოდი, რაოდენ ძნელი ყოფილა ოჯახისგან შორს ყოფნა.

### 17 ივლისი

დღევანდლამდის ერბო მქონდა, დღეს გამითავდა; დღეის შემდეგ ყოველი ჩემი საჭმელი იქნება გაკეთებული არაერბოთი<sup>3</sup>.

### 18 ივლისი

[14 ფ.] წმ. ელენეს კუნძულზე საშინელი ამინდია. ქარბუქი გრძელდება. ჩამოვიდა ჰოლანდიური გაზეთები, საიდანაც სიახლეების გაგება მხოლოდ 21 მაისამდე შეგვიძლია. გაზეთებში წერენ ჩვენი და ინგლისელების 1900 წ. 5 აპრილის შეტაკებებზე. მე დაჭრილების ჩამონათვალში ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ერთი ნაკანრიც არ მქონია. წმ. ელენეს კუნძულზე ჰოლანდიათ, რომ, ჯერ ერთი – ძალიან მდიდარი ვარ; მეორე – დიდ მხედართმთავარ – ბაგრატიონის შვილთაშვილი ვარ და მესამე – ჩემზე გაძლიერებული მეთვალყურეობაა, რადგან საშინლად ეშინიათ, გაქცევა არ მოვახერხო. სიამოვნებით გავრისკავდი, მაგრამ [15 ფ.] ირგვლივ ზღვაა. ლამის 2 ½ საათია.

### 19 ივლისი

უამინდობა გრძელდება. ვზივარ და თითოეულ ნათესავს წერილს ვწერ ჯეიმსტაუნისა და წმ. ელენეს კუნძულის ხედებით

<sup>3</sup> ეს მონაკვეთი ნაწერია ქართულად.



გაფორმებულ ლია ბარა-  
თებზე. ვიცი, ტუსა-  
ლის გაგზავნილ გრავი-  
ურიან ბარათებს ვერას-  
დროს მიიღებენ, [16 ფ.]  
მაგრამ მსურს ეს ამბავი  
მეხსიერებაში ჩამებეჭ-  
დოს. საინტერესო სალამო  
მქონდა. მე და ჩემი  
მეგობარი კონტ. ბრედა  
კაპიტან ფრიგულიუსს  
ვსტუმრობდით, ჭადრაკს  
ვთამაშობდით, ვსაუბ-  
რობდით ჩვენს არასახა-  
რბიელო მდგომარეო-  
ბაზე, ევროპელებისა  
და ჩინელების ომზე,  
ჩვენ ხომ სიმართლე  
არ ვიცით. დეპეშაში  
ნათქვამია, რომ ევრო-  
პელებს თვითონ დაუხო-  
ცავთ ოჯახები, ხოლო  
ჩინელებს კი 800-მდე

ევროპელი მოუკლავთ. თუ ეს სიმართლეა, წინ დიდი ომი  
გველის. [17 ფ.] სავახშმიდ კაპიტან ფრიგულიუსთან დავრჩით,  
რომელიც საქმაოდ პიკანტური კერძით გაგვიმასპინძლდა –  
ფრიგულიუსის სამშობლოდან გამოგზავნილი თითო ნაჭერი  
ძევი შემოგვთავაზა. მასთან დამის 2 საათამდე დავრჩით.



ანა ალექსანდრეს ასული ბუჭყიაშვილი, ნიკო  
ბურის მეულე  
[1900-1905 წლები]

## 20 ივლისი

დღეს ფოსტა მოვიდა ევროპიდან. ტყვეები დილიდან რიგში  
დგანან. გული მექუმშება, იქნებ ვილაცას მაინც გავახსენდი  
და თითო-ოროლა სიტყვა მაინც მომწერა, თან [18 ფ.] რუსული  
ანდაზა მახსენდება: „თვალიდან შორს, გულიდანაც შორსაო“.  
ჩემთვის 2 ცალი საცვალი ვიყიდე, დღევანდლამდის მათ გარეშე  
დავდიოდი. ჩემი შარვლის უხეში ქსოვილი კანს მიღიზიანებდა  
და მექავებოდა. მიუწვევლობის გამო ძალიან ვიტანჯებოდი  
და ვწვალობდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მწერები  
მღრღნიდნენ. კარავში ფოსტალიონი შემოვიდა. მეგონა ჩემთვის



წერილი მოიტანა, თუმცა აღმოჩნდა, რომ წერილი კი მოიტანა, მაგრამ არა ჩემთვის, არამედ ჩემი მეგობრებისთვის. ასე მგონია, ვერ მივაღწევ იმ ბედნიერ დღემდე, როდესაც ჩემთვის განკუთვნილი წერილი მამცნობს, რომ სახლში [19 ფ.] ყველაფერი რიგზეა, ყველა ცოცხალი და ჯანმრთელია. შემიძლია აღთქმა დავდო ღვთის წინაშე, რომ კიდევ ერთი წელი თანახმა ვარ, ნეტარებით გავუძლო ყოველგვარ აქაურ ტანჯვას, ოღონდაც ვიცოდე, რომ დედა და და-ძმები კარგად არიან და როგორლაც მოახერხეს იმ უნუგეშო მდგომარეობიდან გამოსვლა, რომელშიც მე ისინი დავტოვე. ვინც არ იცის ჩემი გულის საიდუმლო, შეიძლება იფიქროს, რომ მე, როგორც ლაჩარი, ისე გამოვიქცი და ორი [20 ფ.] უსუსური ქალი შევატოვე ჩემს მტრებს დასაგლეჯად, მაგრამ მხოლოდ ღმერთმა იცის, რა მინდოდა ჩემი ოჯახისთვის – დედისთვის, დისთვის, ძმებისთვის და რა გამოვიდა: „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა“ ლამის პირველი საათია, არ მეძინება.

## 21 ივლისი

დღეს კარგი ამინდია მოსალოდნელი, ქარი მიწწნარდა და მზემაც გამოანათა. მაშასადამე, წერაც შემიძლია, რადგანაც ჩემი საწერი მაგიდა აღარ ქნაობს. ელოდებიან გემს კაპ(?) კოლონიდან.

[21 ფ.] რადგანაც წერილს არ ველოდები, მათსავით არ ვნერვიულობ, ვინც წერილებს აფრიკიდან ელიან. ამინდი აქ ძალიან ცვალებადია – ყოველ წუთში თუ არა, საათში ერთხელ მაინც იცვლის ზნეს, როგორც კეკლუცი ქალბატონი სამოსა. მზიანი დილა იყო. შუადღის 3 საათზე კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ადგილი არაა, წვიმა რომ არ აღწევდეს; ყველაფერი გალუმბულია: ჩემი საწოლი, გარდერობი, რა თქმა უნდა, თუ შეიძლება ამას გარდერობი ეწოდოს. ეჭვი მაქვს, წყეული ინგლისელები არ გზავნიან ჩემს წერილებს კავკასიაში. რომც ყველას დავვიწყებოდი, დედა და და ხომ მაინც [22 ფ.] არ დამივიწყებდნენ? დღეს ოფიცერთა კორპუსი აწყობს კლუბს თამაშებისთვის – „ლაუნ-ჩოგბურთსა“ და ჭადრაკში. მე საპატიო რწმუნებულად ამირჩიეს კენჭისყრის გარეშე, რაც სასტიკად არ მომწონს, რადგან ალბათ ფიქრობენ, რომ მდიდარი ვარ... არადა მგონი ჩემზე ღარიბი აქ ადამიანისშვილი არაა. წავედი „საზოგადოებაში“ მადლობისა და [23 ფ.] დაკისრებულ მოვალეობაზე უარის სათქმელად, მაგრამ უარი მივიღე და ჩემი ნების სანინაალმდეგოდ დავრჩი. შესაწირიც არაფერი მაქვს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არაფერი გამარჩია. ერთადერთი, რაც შემიძლია გავიღო, ჩემი ნახელავი ჭადრაკის მაგიდა და დაფაა – საკმაოდ ცუდად შესრულე-



ბული, ჯიბის დანით, ხელსაწყო-ების გარეშე, მაგრამ ჩემთვის ძალიან ძვირფასი, რადგან, როგორც ხარატის, ჩემი პირველი ნახელავია.

[24 ფ.] დღეს ზუსტად სამი თვე შესრულდა ჩემი წმ. ელენეს კუნძულზე ჩამოსვლიდან.  
4 საათისთვის ოფიცრებმა მომაკითხეს ბანქოს სათამაშოდ. მიუხედავად იმისა, რომ თამაშის დიდი მოყვარული ვარ, ფულის უქონლობის გამო მათთან ერთად ვერ ვთამაშობ. ვზივარ, ვუყურებ და ვფიქრობ, რით გავუ-მასპინძლდე. რადგან „პროვიზია“ გამითავდა, ჩაით გამასპინძლება მომიწევს. ჩემმა მეგობარმა კონტ. ბრედამ მამისგან 200 მანეთი მიიღო. სესხება [25 ფ.] შემომ-



სხედან: ნიკო ბური ბაგრატიონ-მუხრანელი და ასა ალექსანდრეს ასული ბუჭყაბველი. დგანან: თამარა ალექსანდრეს ასული და უცნობი [1900-1905 წლები]



ნიკო ბური ბაგრატიონ-მუხრანელი  
[XIX საუკუნის მიწურული]





ნიკო ბური ბაგრატიონ-მეუხრანელი  
მეუღლესთან - ანა ბუჭყიაშვილთან და  
ქალიშვილთან ერთად  
[1900-1905 წლები]



საქართველოს  
ციფრული  
არქივი

თავაზბა, მე კი ჩემების ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, უარი ვუთხარი. არა, არც მითხვვია, როგორ გავბედავდი, ნეტა როგორმე თვითონ გამოძვრნენ იმ მდგომარეობიდან, რომელშიც ისინი დატოვე, მე კი, აქ როგორმე გავიტან თავს. კარგია, რომ თბილისიდან გამომგზავრებისას ჩემს ძმას, დათას მინდობილობა დავუტოვე. ღამის 2 ½ საათია.

## 22 ივლისი

[26 ფ.] ცუდი ამინდია. მოღრუბლულია და ცივა. ნეტა რას ფიქრობს ჩემზე საცოდავი დედაჩემი? ნუთუ ჰერნია, რომ ჩემი ნებით მივატოვე ისინი? ოჲ, ნეტა იცოდეს ჩემი [27 ფ.] აფრიკული მოგზაურობის ფინალი – რა ტანჯვა-წამება გამოვიარე; ნეტა შემექლოს მიწერა და ახსნა, გულზე მომეშვებოდა, მაგრამ არ შემიძლია, რადგან ყველა ჩემი წერილი ინგლისელების მიერ კონტროლდება და თუ გაიგეს სიმართლე, ალბათ გაცილებით მკაცრად დამსჯიან. აქ თუ დავიღუპე, დღიურებიდან შეძლებენ გაიგონ ყველაფერი. უცხოსთვის ჩემი დღიურები ნაკლებად გასაგებია, რადგან სახელებს არ ვწერ და ვაწარმოებ ნუმერაციას, მაგრამ, თუ ისინი დედაჩემის ან დეიდა ნუცას ხელში აღმოჩნდა, უმალვე მიხვდებიან ყველაფერს და გაიგებენ, თუ როგორ ვიტანჯებოდი სულიერად თუ მორალურად.

## 22 ივლისი

[28 ფ.] კვირა დღეა, ქარიანი ამინდია, ახალი არაფერია. გ. ვიტა-მორმა საჩქარი გამიკეთა – ძეირიანი არა, მაგრამ ძალიან საჭირო ნივთი – ცოლისგან სახსოვრად მიღებული მშვენიერი პატარა შუშის ჭიქა მაჩქა.

ნეტა გამოიხედოს ვინმემ ჩემკენ, რა ვიყავი და რა ვარ ახლა. მე, რომელიც ჩემს სამშობლოში თუ არ ძალიან, ჯორ-ცხენზედ არ ვიკადრებდი შაჯდომას და აგრეთვე თუ არ ფაიტონით, ფეხით არ ვიკადრულობდი სიარულს, რომელს ახლა მაცვია [29 ფ.] დაგლეჯილი ჩექმები და თუ ესენიც არ მექნება, ფეხშიმველიც კარგად ვივლი. ღვთის წინაშე ხალხს მე ვერ დავვნდურები აქა, ყველანი ლირსეულს პატიგს მცემენ და ყოველი ტყვე ცდილობს მე რითიმე მასიამოვნოს, მარამ იგი სულ ჩემთვის ფუჭია, ჩემსა გულსა ველარავინ გაამთელებს, სულ რომ აქ, სხვა ქვეყანაში, ოქროში მატივტივონ და მილიონები მომცენ. რათ მინდა, რისთვის მინდა? რა, ჩემს პატარა ფუზულა დას, თამარს, უყიდი რასმე, ანუ ჩემს დედას ვასიამოვნეფ რითმე, ანუ ჩემს ძმებს და სახლს წინ წავაყენეფ? ამ ფიქრმა დამაბერა,



დამაბერა მე. მართალია, ჩემს თავზე ბევრი თმა არ იყო, მარამ ჭალარა არ ერია, ახლა კი ჩემს თმა და [30 ფ.] წვერებში ბევრი ურევია ჭალარა. ვინც არ იცის ჩემი წლოვანება, თავის დღეში ვერ წარმოიდგენს, რომ 34 წლისა ვარ<sup>4</sup>.

ინგლისური რაზმის კაპიტანი შემოვიდა, რომელსაც ჩემთან მეგობრობა სურს, მე კი მასზე გული ამიცრუვდა; გუშინდელი უბედური შემთხვევა მომიყვა.

21 ივლისის საღამოს რამდენიმე ახალგაზრდა ზღვაზე შეიკრიბა და სათევზაოდ ნავით გაემზავრა. ქარმა ნავი ამოაყირავა და ყველანი წყალში აღმოჩნდნენ. ბედად, ისანი [31 ფ.] ქეიმსტაუნთან მდგარი სამხედრო გემიდან შენიშნეს და საშველად მეზღვაურები გამოგზავნეს. ორი მათგანი ცოცხალმკვდარია და იმედიც არ აქვთ მათი გადარჩენის, ხოლო დანარჩენი ორის პოვნა საერთოდ ვერ შეძლეს. ერთ-ერთი მათგანი კაპიტან მ.-ს შვილია. დღეს დილით ჩემმა ლაქიამ დამსაჯა: შეშისა და ნახშირის უქონლობის გამო ყავა არ მომიდულა, შემდევ კი უფრო სასტიკად ქარმა დამსაჯა – კაპიტნის ნაჩუქარი [32 ფ.] ქუდი წამგლივა, რიგით მეორე. ვიშვი აქ კიდევ ქუდს? ეტყობა, რამდენიმე დღე მაინც მომინევს თავგაკრული სიარული. იმედგაცრუებული ჭადრაკს ვთამაშობდი. 5 პარტია ვითამაშე, აქედან 2 მოვიგე, სამი კი წავაგე. საშინლად მინდა, რამდენიმე წუთით ჩემს სახლში გავჩნდე, [33 ფ.] მოვეფერო დედას და დას, გავიგო, როგორაა საქმეები და თუნდაც მერე მოვკვდე, დამშვიდებული გულით... ღამის 2 საათია.

## 23 ივლისი

შუადღეა. ცუდი ამინდია. მთელი ღამე არ მძინებია, თავს შეუძლოდ ვერძნობდი. დღეს ლოგინიდან შუადღის  $11\frac{1}{2}$  ავდექტი, მადა არ მაქვს; მეშინია, ავად არ გავხდე, ყველა ბედნიერებასთან ერთად ავად გახდომალა მაკლია – რომ ვკვდებოდე, წყლის მომწოდებელი არ მყავს. [34 ფ.] მომიტანეს ფოტო, მოყვარულის მიერ გადაღებული, როგორ მივყავართ ტყვები დაცვის თანხლებით ქ. ჯეიმსტაუნის ქუჩებში. ფოტო უხარისხოა, მაგრამ სხვა ოფიცირებს შორის ჩემი ამოცნობა შესაძლებელია. წიგნებიც კი არ მაქვს. რაიმე რომ მქონდეს წასაკითხი, გულს გადავყოლებდი და ამდენს აღარ ვიფიქრებდი. დეიდაჩემს და ანეჩა ბუჩკიერას ვთხოვე რუსულ-ფრანგული „Грань\_мер“ ლექსიკონისა და რამდენიმე წიგნის გამოგზავნა, თუმცა წერილები 5 მაისს გავგზავნე, [35 ფ.] დღეს კი 23 ივლისია და არანაირი პასუხი არ მიმიღია. მათ ვერც

4 ეს მონაკვეთი ნაწერია ქართულად.



კი წარმოუდგენიათ, როგორ მსჯიან, როცა წერილებს არ მნერენ. უკვე ლამის 3 საათია, ვზივარ და ვწერ ჩემს წიგნს, ფეხებში საშინლად მიძერავს, საკმაოდ ცივა, ლოგინში უნდა ჩავწვე.

## 24 ივლისი

საზიზღარი ამინდია, ცუდად მეძინა, მოხუცი მალხაზი და ჩემი კარ-მიდამო მესიზმრა, სხვა არავინ, არც ძმები, არც და, არც დედა, გული ცუდს მიგრძნობს. ღმერთო, მე [36 ფ.] მომეცი მათი სატანჯველი, მე ხომ ისედაც დასჯილი ვარ, მათ კი ააცილე ყველაფერი ცუდი, რასაც გული მიგრძნობს. რა წყევლა სდევს ჩვენს გვარს ასეთი, მათ ხომ არაფერი დაუშავებიათ, რატომ სჯი ასე მკაცრად? მაგრამ თუკი ვინმე ერთ-ორ სიტყვას მაინც მომწერს და მეტყვის, შენები ცოცხლები და ჯანმრთელები არიან, ცოტა გულზე მომტვება და გავთავისუფლდები იმ საშინელი წინათგრძნობისგან, რომელიც ყველგან, ძილშიც კი, თან მდევს და არ მასვენებს. ჩემი გონება დაძაბულია და [37 ფ.] კონცენტრირებულია იმ პრობლემის გარშემო, რომლის მოგვარებაც შეუძლებელია.

დღეს დილით შაქარი გამითავდა, ახლა მომინევს დილა-სალამოს უშაქრო ჩაისა და ყავის დალევა. სტეარინის სანთლების მარაგი მაქვს. ალბათ ივლისის ბოლომდე მეყოფა. ძალიან გამიჭირდება, როცა გამითავდება. ლამით წერას ვერ შევძლებ. დღემდე ასე ვიქცეოდი, რადგან ძალიან ძნელია სალამოს 6 საათიდან დილის 6 საათამდე კარავში ჯდომა. ჩემი ისედაც შერყეული ნერვები ამას [38 ფ.] ვერ გაუძლებს. ჩემს გაუსაძლის მდგომარეობაში ნუგეშს მხოლოდ იმში ვპოულობ, რომ ეს საშინელი სატანჯველი სხვაგან, ჩემი სამშობლოდან შორს, მხვდა წილად. ეს რომ ჩემს ქვეყანაში დამმართოდა, ალბათ ვერ გავუძლებდი და თავს მოვიკლავდი. სალამოს კაპიტანმა [39 ფ.] ფრიგულიუსმა თავისთან მიმიპატიუა ვისკის დასალევად. ეს ჩვენი არყის მსგავსი ინგლისური სასმელია. ჩემს მეგობარ ბრედასთან ერთად მივედი. რადგან დალევის მოყვარული არ ვარ, არ დამილევი, ვიჯექი ლამის 11 საათამდე. შემდეგ კარავში დავბრუნდი, დაძინება მინდოდა, მეგონა რამეს ვიპოვიდი, მაგრამ ამაოდ. უნდა დავიძინო და ხვალინდელ დღეს ველოდო. 7 საათზე ჩემი კამერდინერი მომიტანს უშაქრო ყავას, არ ვიცი, მომეწონება თუ არა. ლამის 11½ საათია.

## 25 ივლისი

[40 ფ.] ეზოში ტალახია. მთელი ლამე წვიმდა, საშინელი ნესტია. ეს არც თუ ისე კარგია ჩემი ძველი ჭრილობისთვის, მაგრამ,



ღვთის მადლით, ჯერჯერობით არ მახსენებს თავს. აქ სულ 50 ტყვე ოფიცერი ვართ, მთლიანობაში კი ჯარისკაცებიანად – 2000.

წყლის დეფიციტია, ზოგჯერ დილით პირის დაბანასაც ვერ ვახერხებთ, რადგან მერე დასალევი წყალი აღარ დაგვრჩება. წყალი არ მომწონს, თუთიის გემი დაჰკრავს. [41 ფ.] ჩვენ შორის ბევრი აგადმყოფობს. დღეს ჰოსპიტალში შეეგიარე და დეზინტერიით დაავადებული 12 ოფიცერი ვნახე. ჩემი აზრით, ამის მიზეზი აქაური წყალი და ნესტი უნდა იყოს. ფული რომ მქონდეს, ვიყიდდი ფიცრებს და ჩემს კარავში იატაკს დავაგებდი, როგორც ეს არაერთმა სხვა ოფიცერმა გააკეთა, მაგრამ, სამწუხაროდ, წმ. ელენეს კუნძულზე ეს საკმაოდ ძვირი ფუფუნებაა.

დილის უშაქრო ყავა არ მომენტია, მაგრამ 1 ჭიქა მაინც დავლიე. დღეს ფოსტაში ოთხი ფოტოებიანი, ორმაგი მარკებით ე.წ. „შეკვეთილი“ ღია ბარათი მივიტანე დედისთვის, თამარა სიმონოვიჩისთვის, გაბო მაღალოვისა და ანნა [42 ფ.] ბუჩქივა-ასთვის. დედას წერილი ფრანგულ ენაზე დავუწერე. საღამოს გ. ვიტამორმა შემომირბინა და ცოლის გამოგზავნილი უგემრიე-ლესი შოკოლადის ერთი ნატეხი მომიტანა. მადლობა ოფიცრებს, რომლებსაც ძალიან ვუყვარვარ. არ ვიცი, რა ნახეს ჩემში ასეთი, რომ ყველა სათითაოდ ცდილობს, რითმე მასიამოვნოს. შოკო-ლადი [43 ფ.] ძალიან დიდი ხანია, ტფილისიდან გამგზავრების მერე, აღარ მიჭამია. უგემრიელესი იყო და ვახშამზე დიდი სიაშ-ოვნებით მივირთვი პურთან ერთად. რადგანაც წიგნების გარეშე ძალიან მოწყენილი ვარ, ერთმა ოფიცერმა დასაკრავი ინსტრუ-მენტი მომიტანა, [44 ფ.] რომელსაც ჩვენ „ცინბალკას“ ვეძახით, მაგრამ, ჩემდა საუზედუროდ, დაკვრა არ ვიცი. მინდა ვისწავლო, თუ ძალიან ძნელი არ იქნება, იმიტომ, რომ ისევე, როგორც ჩემი ყოფა, მე თვითონაც აუტანელი, ცივსისხლიანი, ეჭვიანი გავხდი, ყველა და ყველაფერი მაღაზიანებს და ეს რალაც საშინელებად მაქცევს, გული კი აღარავის ენდობა. ალბათ ავად ვარ, არა, ნამდვილად ავად... მიუხედავად იმისა, რომ არაფერი მაწუხებს, ცოტა წერვები უნდა დაგინიჭნარო, მაგრამ მე და ჩემს გონებას მხოლოდ დედისგან მიღებული წერილი თუ [45 ფ.] დაამშვიდებს – განა საყვედურის, არამედ მანუგეშებული; სადაც ენერება, რომ ყველაფერი კარგადაა და საქმეები არაჩვეულებრივად მიდის. მაშინ კი ვიტყვი, რომ ბედნიერი კაცი ვარ, რადგან დედისგან ასეთი მშვენიერი ამბები გავიგე. დღეს ჩემ მიერ დანერილი წიგნიდან სიტყვებს ვითვლიდი. [46 ფ.] აღმოჩნდა, რომ 20000





ნიკო ბური ბაგრატიონ-მუხრანელი და მისი  
თანამებრძოლი ფრანგი გრაფი ბრუდა ბურების ომში  
[1900-იანი წლები]

სიტყვა დამინტერია. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, რადგან ამინდი მუშაობის საშუალებას არ მაძლევს, ზოგჯერ ნაწერს მთლი-ანად მისველებს და თავიდან გადანერა მიწევს. ეს ხომ ორმაგი შრომა?! მთელი ლამე არ მეძინა. წვიმა კარავში აღნევს, მთელი ლამე ჯდომა მომინია, აქ დაზოლა წარმოუდგენელია. რამდენიმე ფეხილის ტომარისგან შეეკრული ჩემი ლოგინი მთლიანად გალუმპულია. დილის 5 საათია.

## 26 ივლისი

[47 ფ.] კარგი ამინდია. უძილო ლამის შემდეგ თავი დამძიმებული მაქვს, მეძინება. რადგან ჩემებისგან არანაირი ამბავი არაა და ჩემზე გამკაცრებული მეთვალყურეობაა, მინდა ვთხოვო ერთ ჩემს მეგობარს, [48 ფ.] დამინტეროს ნერილი სპირიდონ სიმონოვი-ჩისათვის გერმანულ ენაზე. იქნებ ამ ნერილმა მაინც მიაღწიოს ადრესატამდე. დღეს ვათვალიერებდი მიდამოებს, ზღვასთან გასასვლელს. ასეთი ადგილი ცოტაა წმ. ელენეს კუნძულზე – სულ სამი და სამივეგან გუმაგები დგანან. სურვილის შემთხ-



ვევაში, გაქცევა ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს, თუმც სახიფათოა, მაგრამ უკვე რა მნიშვნელობა აქვს – მკვდარი ვიქენები, თუ ცოცხალი... ერთადერთი, რაც მაჩერებს, ჩემი წიგნია. რადაც უნდა დამიჯდეს, მინდა დავასრულო. [49 ფ.] ეს წიგნი ჩემი სიკვდილის შემთხვევაში თვალებს აუხელს ჩემებს და აჩვენებს, რომ მე მათ წინაშე დამნაშავე არ ვარ და როგორ სასტიკად მექცეოდნენ მაშინ, როდესაც მე მათ არაფერს ვთხოვდი, ან როგორ უნდა დამხმარებოდნენ ტფილისიდან. ერთადერთი, რასაც ვითხოვდი, წერილები იყო, საიდანაც მათ შესახებ შევიტყობდი [50 ფ.], ეს კი ცოტათი შეამსუბუქებდა ჩემს მძიმე მორალურ მდგომარეობას. რისთვის ან ვისთვის უნდა გაფუფრთხილდე სიცოცხლეს? ალბათ ყოველდღე ვივლი და კარგად შევისწავლი აქაურობას, აგვისტოში კი წიგნსაც დავასრულებ და თუ მანამდე ჩემიანებისგან წერილს არ მივიღებ [51 ფ.], ჩავთვლი, რომ ალარ სურთ და სცხვენიათ ჩემთან ურთიერთობა. მაშინ თავისუფალი კაზაკი გავხდები და გავიქცევი, თუნდაც ინგლისელებმა დამიჭირონ და დამხვრიტონ. წიგნი ხომ დარჩება, საიდანაც ყველა გაიგებს ჩემი ცხოვრების შესახებ კარგს თუ ცუდს: რამ მაიძულა ტფილისიდან წამოსვლა, რატომ მოვხვდი აფრიკაში, შემდეგ კი – [52 ფ.] წმ. ელენეს კუნძულზე. წიგნის გარდა, არსებობს კიდევ პატარა დღიური, რომელშიც ყველაფერს ვიწერ, რაც ყოველდღიურად ხდება. დღიურში აღნერილია ჩემი თითოეული ნაბიჯი ევროპიდან აფრიკაში გამგზავრებამდე. არსებულ მდგომარეობას რუსული ანდაზა კარგად გამოხატავს: „ფონი გასაგალს შეაქ“. ყველა გაოგნებულია, რომ ამდენი ხნის განმავლობაში არავისგან წერილი არ მიმიღია. მგონი, [53 ფ.] უკვე ეჭვი ეპარებათ ჩემს წარმომავლობაში და ვიღაც თვით-მარქვია ვგონივარ. 2000 ტყვეს შორის ადამიანისშვილიც კი არაა, ვისაც წერილი არ მიუღია. აქ არიან ახლად ჩამოყვანილი ტყვეები, ტყვეები, რომლებიც ჩემზე დიდი ხანია აქ იმყოფებიან. მაგალითად, ამერიკელები, მათაც კი, ორი კვირის წინ მიიღეს წერილები. [54 ფ.] მე კი ისევ ველოდები, იქნებ ვინმებ ჯვარი გადამსახოს და წერილი გამომიგზავნოს. ლამის 12 საათია. დავი-დალე და საშინლად მეძინება. ფიზიკურ დაღლილობას დიდად ვერ ვგრძნობ, მაგრამ ჩემი გონება მუდმივი დაძაბულობის ქვეშ იმყოფება, რაც ძალიან მღლის. უკვე პირველის 10 წუთია, უნდა დავიძინო, გადაღლილი გონება დავასვენო.

## 27 ივლისი

კარგი ამინდია. ძალიან კარგად მეძინა. რომ გავიღიძე, ჩემს ლითონის საათზე 10 საათი იყო. თავს მხნედ ვგრძნობ. სამი



პარტია ჭადრაკი ვითამაშე და სამივე მოვიგე. [55 ფ.] ძალიან ძლიერი მეტოქე მყავდა, შემიძლია ვთქვა – ჩემზე ძლიერი, რომელსაც უჭმელ-უსმელზეც კი სამივე პარტია მოვუგე. ვგონებ, წმ. ელენეს კუნძულის სტუმრები კიდევ დიდანს ვიწერით, იმიტომ, რომ ბურებმა ახლახან ნამდვილი ომი გააჩალეს. ჩემთან ახალგაზრდა სკანდინავიელი მოვიდა, რომელსაც ჩემი პორტრეტის დახატვა სურს. მე მას ანეჩეა ბუჭყიევას სურათი მივეცი [56 ფ.], რომელიც ჩემს „ბუმაზუნიში“ მქონდა. მშვენივრად გადახატა. მეც დამხატა, მაგრამ ისე კარგად ვერ, როგორც ანეჩეა. თითოეულში 5 შილინგი, ან რუსული 4 რუბ. 50 კაპ. უნდა გადავუხადო. ორივეში 9 რუბ., ან 10 შილინგი, მაგრამ, რადგან ფული არ მაქვს, მელოდება. მე ძნელად თუ ამომიცნობს ვინმე, მაგრამ ანეჩეა ძალიან კარგად დახატა. მინდა გავუგზავნო ფოსტით, [57 ფ.] კარგი საჩუქარი იქნება და თან მინდა იცოდეს, რომ არსებობს ადამიანი, რომელსაც ახსოვს და წმ. ელენეს კუნძულზეც კი მასზე ფიქრობს. ინგლისური გაზეთები მურავიოვის სიკვდილის შესახებ წერენ. აგრეთვე წერენ, რომ წმინდა სინოდი ლევ ტოლსტოის მართლმადიდებლური რელიგიის მოწინააღმდეგებ აცხადებს და მის განკვეთას აპირებს. დღეს კამერდინერმა გამომიცხადა, რომ აღარ სურს ჩემი მომსახურება. სხვა მსახურის [58 ფ.] პოვნა ძალზედ ძნელია, არადა მის გარეშე ძალიან გამიჭირდება, იმიტომ რომ სამზარეულო და საჭმლის კეთება არასოდეს მიზიდავდა. ჩემი რაზმის ერთ-ერთმა ფრანგმა ინგლისელებისგან საფრანგეთში გასვლის ნებართვა მიიღო. ეტყობა, მისმა ახლობლებმა ძალიან მოიწოდეს. ამ დღეებში აპირებს გამგზავრებას. თუ მომცეს უფლება, წერილი გავატანო, [59 ფ.] იქნებ საფრანგეთიდან გაგზავნოს და, იმედია, ეს წერილი მაინც მიაღწევს დედამდე.

ჩემი რაზმის ერთ-ერთმა ჯარისკაცმა გამოთქვა სურვილი მემსახუროს, მეც დიდი სიამოვნებით დაგთანხმდი, მაგრამ უნდა გადავუხადო, ოღონდ როგორ, არ ვიცი. ნუთუ კველამ დამივიწყა, ნუთუ ჩემგან სიკეთე არავის ახსოვს? ქალური ცნობის-მოყვარეობა მკლავს, მინდა ვიცოდე, რას ფიქრობენ ჩემზე, სახლში როგორაა საქმეები. ღამის პირველი საათია.

## 28 ივლისი

ამინდს არა უშავს, თუმცა პატარა ქარია. დღეს მინდა ცოტა გავისეირნო, [60 ფ.] კუნძულის დასავლეთი ნაწილი დავათვალიერო. ალბათ, დღის 12 საათზე კაპიტან ფრიგულიუსთან და კონტ. ბრედასთან ერთად წავალ. დილის 7



საათზე ჩემმა ახალმა კამერდინერმა, ბ-ნ კონტრა ყავა მომიტანა. ვიღაცას ჩემს სახელზე პარიზიდან უურნალ „ფიგაროს“ ნომერი გამოუგზავნია. კარგია, რამდენიმე დღე გავერთობი.

ბოლო ხანს არაფერი დამიწერია, სიზარმაცემ მძლია. ჩემი გონება სხვა ფიქრებითაა მოცული და გეგმას აწყობს, [61 ფ.] გაქცევის გეგმას, თუმცა ჩემი გაქცევა წიგნის დამთავრებამდე ვერ განხორციელდება. ეს უკანასკნელი კი ჩემთვის ბოლო და ყველაზე მძიმე მუხრუჭია. პირველ საათზე წვიმამ დასცხო. კარავში დავრჩი, რადგან გასვლა შეუძლებელია. საკრავზე ვუკრავდი, ვწვალობდი... რაც ძნელად ეძლევა ადამიანს, ის მასში უფრო დიდ ინტერესს იწვევს. არაფერი გამომივიდა, მაგრამ [62 ფ.] დრო მაინც მოვკალი. ჩემ მიერ ტფილისში გაგზავნილი ლია ბარათების ქვითრები მომიტანეს. ცოტათი დავშვიდდი. იმედია, ახლა მაინც მივა დანიშნულების ადგილამდე, თუმცა როდის, არ ვიცი. დღეს დავსველდი, მინდოდა ტანსაც-



ნიკო ბური ბაგრატიონ-მუხრანელი სამსედორო პირებთან ერთად პირველი  
მსოფლიო ომის დროს (მარჯვნიდან პირველი, ზეს)

[1914-1917 წლები]




საქართველოს  
ცალკეული  
ცალკეული

მლის გამოცვლა, მაგრამ ამის საშუალება არ არის, რადგან ჩემი მეორე ხელი ტანსაცმელი სამრეცხაოშია. მომიწევს ტანზე შეშრობა. 12 ½ საათია.

### [63 ფ.] 29 ივლისი

კვირა. კარგი ამინდია, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, დღილის 7 საათზე მთის ბორცვებზე მოუთოვია, რისი დანახვაც ვერ შევძელით. ყველა გაოგნებულია, რადგან ნმ. ელენეს კუნძულზე თოვლი იშვიათობაა. მათაც კი, ვინც აქ ათეულობით ნელინადია ცხოვრობს, თოვლი პირველად ნახეს. არც კი იცოდნენ, რა არის თოვლი. საღამო კაპიტან ფრიგულიუსთან გავატარე. შეიძლება ითქვას, არაფერზე ვსაუბრობდით: როგორ მისცა ვიტამირს მეორე ჩეკი [64 ფ.] 1900 წ. 18 ივლისით დათარიღებული და როგორ მიიღო მისგან 25 ფუნტი სტერლინგი, დაუბრუნა 15 ფუნტი, დარჩა 10 ფუნტი და როდის მისცემს, ალაპმა უწყის.



ნიკო ბური ბაგრატიონ-მუხრანელი წმინდა ელენეს კუნძულზე ტყვეობის დროს  
[1900-იანი წლები]



A. L. Jones



საქართველო  
ცლოვეები  
არქეოლოგი

## 31 ივლისი

კარგი ამინდია. მშვენივრად მეძინა. გუშინდელმა გასეირნებამ კარგად იმოქმედა ჩემზე. დილიდან ინგლისელების ბანაკიდან მუსიკისა და შეძახილების ხმა ისმის, ალბათ რაღაც გამარჯვებას ზეიმობენ. ჩვენ კი იმ დასკვნამდე მივედით, რომ [65 ფ.] წმ. ელენეს კუნძულზე დარჩენა საკმაოდ დიდხანს მოგვინებას. დღეს ერთ-ერთმა ოფიცერმა ძალიან უცნაური კითხვა დამისვა – სიცილით მკითხა: თავადო, თქვენიანებს ხომ არ დაავიწყდათ თქვენი არსებობის შესახებო. იძულებული გავხდი მეპასუხა: დიახ, რადგანაც ამ დრომდის ჩემებისგან წერილი არ მიმიღია. ნუთუ მართლა ალარ უნდათ ჩემი დანახვა? ნეტავ რის გამო? იმიტომ რომ, ვერ მივაღწიე დასახულ მიზანს, ვერ გავმდიდრდი? სამაგიეროდ, როგორ ვწვალობდი, როგორ განვიცდით, [66 ფ.] ამას ხომ ღმერთის გარდა ვერვინ ხედავდა? ან ახლა როგორ ვიტანჯები?! კარგი, თუ დამივიწყეს, ვიშიმშილებ და არ მივწერ, არ ვთხოვ დახმარებას. ღმერთმა ბედნიერი ამყოფოთ. მე კი ალბათ ვეღარ დავბრუნდები სამშობლოში.

[67 ფ.] უპირველეს ყოვლისა, იმიტომ რომ, იქ არავის ვჭირდები და მეორეც – იმიტომ, რომ წმ. ელენეს კუნძულიდან ტფილისში ჩასასვლელად დიდი თანხაა საჭირო, რომელიც მე არ მაქვს. ტანსაცმელიც მჭირდება, მე ხომ არაფერი გამარინა. მთელი ჩემი ნივთები: ოქრო, ვერცხლი, იარაღი, ტანსაცმელი ქ. პრეტირიაში დავტოვე. ეს ქალაქი ინგლისელებმა აიღეს და ჩემი ნივთების შესახებ არაფერი ვიცი, დაიკარგა თუ არა. ყველა მეუბნება – დაიკარგაო, მაგრამ მე იმედს არ ვკარგავ. ეს თუ მართლა ასეა, უმძიმეს მდგომარეობაში [68 ფ.] აღმოვჩნდები. როგორ და რანაირად შევძლებ კავკასიაში მოსახვედრად 2000 რუბ. გამომუშავებას? თან ჭამაც ხომ მინდა?! მომინევს წმ. ელენეს კუნძულზე ან აფრიკაში დარჩენა. ინგლისელები, სავარაუდოდ, [69 ფ.] არ დამასაქმებენ, რადგან მათ წინააღმდეგ ვიბრძოდი. ბურები კი მომცემენ რაღაც სამსახურს, შიმშილით რომ არ მოვკვდე, თუმცა ენა არ ვიცი და გამიჭირდება, ან ვის რაში ვჭირდები აფრიკაში. კიდევ ერთი კითხვა მებადება: იარსებებს კი ტრანსვაალის რესპუბლიკა, თუ ინგლისელები მას შთანთქავენ? სავარაუდოდ, შთანთქავენ. ღამის 11 ½ საათია.

## 30 ივლისი

საკმაოდ კარგი ამინდია.

წმ. ელენეს კუნძულის დასახლებული ნაწილის დასათვალიერებლად გავდიოდი, როდესაც პოლკოვნიკი შემოვიდა, ჩვენზე თვალ-



